საქართველოს მთავრობის

დადგენილება №367

2023 წლის 25 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში (სსმ, №154, 25/11/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის „თ.ა.გ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ.ა.გ^{1}“ ქვეპუნქტი:

„თ.ა.გ^{1}) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის მოთხოვნის შემთხვევაში, საინფორმაციო/პრევენციული ხასიათის შეტყობინებების გაგზავნის მიზნით როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, აგრეთვე ცალკეულ მუნიციპალიტეტში არსებულ აქტიურ სააბონენტო ნომერზე;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**